ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 ივნისის ბიუროს მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 ივნისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

2.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 05 ივლისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2021 წლის 21 ივნისის მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 15

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15 21 ივნისი 2021 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა მანანა ბარბაქაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

რუსუდან გიორგაძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

პავლე კიკალიშვილი საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

ოთარ ლურსმანაშვილი იურიდიული,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

დავით კიკნაძე განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

მალხაზ ფხალაძე ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასრტუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

პაატა გოგოლაძე ფრაქცია ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე

იუზა კელენჯერიძე ფრაქცია ,,ქართული ოცნება – მრეწველები საქართველო" თავმჯდომარე

აკაკი ლურსმანაშვილი ფრაქცია ,,ქართული ოცნება – მწვანეები" თავმჯდომარე

ინგა მაღრაძე ფრაქცია „თვითმმართველობა ხალხისათვის" თავმჯდომარე

თორნიკე ავალიშვილი- ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-ძალა ერთობაშია" თავმჯდომარე

გივი თხელიძე- საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **(სათათბირო ხმის უფლებით - შვებულებაში ყოფნის გამო),**

სათათბირო ხმის უფლებით:

ქეთევან ზუმბაძე - ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-ძალა ერთობაშია" თავმჯდომარის მოადგილე

ნონა ზურაბიანი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარის მოადგილე

შალვა ლურსმანაშვილი - ფრაქცია ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარის მოადგილე

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,
მაია ალავიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის განყოფილების უფროსი, სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი
ნინო მაღლაკელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსხურის განყოფილების უფროსი, სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი,

ალექსანდრე ტაბატაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსხურის განყოფილების უფროსი.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ლ. გოგოლაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთი" - ს რედაქტორი

თ. მაღრაძე -ა.ა.ი.პ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს ჟურნალისტი

მ. შათირიშვილი - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების სპეციალისტი,

ს. გლუნჩაძე - მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ოპერატორი

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 ივნისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 05 ივლისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ **მომხს: ალექსანდრე ტაბატაძე**

2 ხარაგაულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 05 აპრილის N9 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ალექსანდრე ტაბატაძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს ნინო მაღლაკელიძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ბორითში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების 1553.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.03.33.190), მასზე მდგარი შენობა ნაგებობით სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ,

მომხს: მაია ალავიძე

5. „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამით“ (სრიგპ)საგრანტო კონკურსში, წარსადგენად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მოსაწონებლად წარმოდგენილი იდეების განხილვის შესახებ

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და

საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე .

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა დამტკიცებული იქნა(თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსხურის განყოფილების უფროსის ალექსანდრე ტაბატაძის ანგარიში - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

ვ. ჭიპაშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ მოკლე მიმოხილვა გააკეთა სამსახურის საქმიანობის შესახებ და აღნიშნა, რომ კმაყოფილია სამსახურის საქმიანობით, სამსახური მზად არის საკრებულოსთან თანამშრომლობისათვის, ინიციატივები თუ იქნება მივირებთ და განვიხილავთ.

ი. მაღრაძემ - დასვა შეკითხვა დღის ცენტრის ფუნქციონირებასთან და ბორის სკოლა პანსიონის დაფინანსებასთან დაკავშირებით, ასევე დააყენა წინადადება მარტოხელა დედების დახმარების ოდენობის გაზრდაზე, დაასახელა ხიდარში და დეისში მცხოვრებ მარტოხელა დედების მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და სხვა.

ა. ტაბატაძემ - აღნიშნა, რომ მარტოხელა დედების სტატუსთან დაკავშირებით არის პრობლემები ვერ ახერხებენ დოკუმენტის წარმოდგენას, მაგრამ, ჩვენ მაინც ვახერხებთ და სხვა პროგრამიდან ვეხმარებით, რაც შეეხება ხიდარში მარტოხელა დედის დახმარებას მას მერიის მიერ შეთავაზებულ თანხაზე უარი განაცხადა.

ნ. ზურაბიანმა, ხიდრის მაჟორიტარმა დეპუტატმა დაადასტურა,ა. ტაბატაძის მიერ მოყვანილი ფაქტი და აღნიშნა, რომ ის არაერთხელ გაუწევია მისთვის სხვადასხვა სახის დახმარება

რაც შეეხება **დეისში მცხოვრებ მარტოხელა დედას ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა,** რომ მერია საქმის კურსშია, ამჯერად შესაფერისი ფართი არ მოიძებნა, შესაძლებელია მისი განცხადების შემთხვევაში მას ფინანსური დახმარება გაეწიოს

დ. კიკნაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საღანძილეში, სადაც ასევე გაიცა ერთჯერადი დახმარება, ხალხი ძალიან მადლიერია.

თ. ავალიშვილმა დააყენა წინადადება, რომ მომხდარიყო სოფლის ექიმების ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსება და ქრონიკული დაავადების მქონე მოქალაქეებისათვის ადგილზე გაეწიათ დახმარება, რაც ძალიან კარგი იქნებოდა მოსახლეობისათვის და მოუხსნიდა ბევრ პრობლემას.

ვ. ჭიპაშვილმა აღნიშნა, სამართლებრივად რამდენად შესაძლებელია ეს, გასარკვევია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2021 წლის 05 ივლისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 05 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2.საკითხის განხილვა დაევალა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის კომისიას

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსხურის განყოფილების უფროსის ალექსანდრე ტაბატაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 05 აპრილის N9 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2021 წლის 05 ივლისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 05 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2.საკითხის განხილვა დაევალა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის კომისიას

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განტოფილების უფროსის, სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ნინო მაღლაკელიძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2021 წლის 05 ივლისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 05 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2.საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიას

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის განყოფილების უფროსის, სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლი - მაია ალავიძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ბორითში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების 1553.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.03.33.190), მასზე მდგარი შენობა ნაგებობით სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ,

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2021 წლის 28 ივნისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 28 ივნისის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

2.საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიას

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვ. ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე - „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამით“ (სრიგპ)საგრანტო კონკურსში, წარსადგენად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მოსაწონებლად წარმოდგენილი იდეების განხილვის შესახებ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2021 წლის 28 ივნისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 28 ივნისის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

2.საკითხის განხილვა დაევალა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიას

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. **დამტკიცდეს 2021 წლის 28 ივნისის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).**
2. **დამტკიცდეს 2021 წლის 05 ივლისის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).**

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 ივნისის

საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ბორითში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების 1553.00 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.03.33.190), მასზე მდგარი შენობა ნაგებობით სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ,

მომხს: მაია ალავიძე

2. „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამით“ (სრიგპ)საგრანტო კონკურსში, წარსადგენად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მოსაწონებლად წარმოდგენილი იდეების განხილვის შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 05 ივლისის

ბიუროს მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ნანა კიკნაძე

2 ხარაგაულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 05 აპრილის N9 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნანა კიკნაძე

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 23 დეკემბრის N23 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს ნინო მაღლაკელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე